განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2026 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 5.0 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2026 წლის პროგნოზით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 15 409,0 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1042,4 ათასი ლარით (7%-ით).

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 14 209,0 ათასი ლარით;

  2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 6 %-ით (942.4ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1 200,0 ათას ლარს;

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 2555,3 ათასი ლარამდე, მათ შორის:
  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 2555,3 ათასი ლარი;

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები გაზრდილია 808.8ათასი ლარით

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 997,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ პროცენტები 100,0 ათასი ლარი.
  - ✓ რენტა 440,0 ათასი ლარი;

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 237,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ სანებართვო მოსაკრებლები 100,0 ათასი ლარი;
- ✓ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 2,0 ათასი ლარი;
- ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 100,0 ათასი ლარი;
- ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 35,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 160,0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:

  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 155,0 ათასი ლარი;

  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 30,0 ათასი ლარი;

- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 60,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓ შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 30,0 ათასი ლარი;
✓ სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 30,0 ათასი ლარი;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 400,0 ათას ლარს;

- **ვალდებულების კლება** (სესხის დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრება 60,4 ათასი ლარის ოდენობით;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 19 361.3 ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 3299.8 ათასი ლარით).

აღნიშნული გამოწვეულია საგადასახადო შემოსავლების ზრდით და გრანტების გეგმის ზრდით.

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2026 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 600 ლარის ოდენობით ნაცვლად 1460 ლარისა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 3010,0 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 597,0 ათასი ლარი;

საგზაო ინფრასტრქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას.

  - ✓ **წყლის სისტემების** განვითარება -852,0 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყლით უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას.

- ✓ **გარე განათება - 749,0 ათასი ლარი;**

2025 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ამბროლაურში და 68 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა.
გარე განათების ქსელის ექსპლოტაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:
- გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება;
-გარე განთების ქსელის მოვლა პატრონობა;

- ✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები -** 50,0 ათასი ლარი; პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.

2026-2029 წლებში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტების თანადაფინანსება:

- ✓ მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა მდინარე კრიხულას სანაპიროზე;

- ✓ არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის და რეაბილიტაციის ღონისძიებები;

- ✓ **სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია** - 20,0 ათასი ლარი;

პროექტები განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

- ✓ **რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება** ხარჯები განსაზღვრილია 420,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს. პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50 000 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

- ✓ **სატრანსპორტო მომსახურება** - 312,0 ათასი ლარი. პროგრამიდან ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

- ➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1755,6 ათასი ლარი; მათ შორის:**

- ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1534,0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა.

- ✓ **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 171,6 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამ-ქიმიკატების შეტანა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყეების მოვლა-პატრონობა.

- ✓ **კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში - 40,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები -10,0 ლარი;

- ➢ **განათლება - 2746,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სკოლამდელი განათლება - 2319,0 ათასი ლარი;**

2025 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 193,6 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით;

- ✓ **განათლების ღონისძიებები-70,0**

ფინანსდება წარმატებული სპორცმენები, კულტურის მოღვაწეები, წარჩინებული მოსწავლეები, სოციალურად დაუცველი პირველი კურსის სტუდენტების სწავლის საფასური.

- ✓ **ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი -357,0 ლარი**

- ➢ **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4247,0 ათასი ლარი მათ შორის:**
  - ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1760,1 ათასი ლარი;**

ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 5 სპორტული ა(ა)იპ, ესენია:
- ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“;

- ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“;

- ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“;

- ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““;

-ა(ა)იპ რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ,,ამარანტები".

კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა 2438,9

ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 5 ა(ა)იპ, ესენია:
- ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“;

-ა(ა)იპ „ამბროლაურის კუკლტურის ცენტრი“;

-ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“

-ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“

-ა(ა)იპ „ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“

- ✓ **კულტურის ღონისძიებები**

კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა, ესენია:

- სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამა;

- საპატიო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა;

სადღესასწაულო ღონისძიებების ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო და სახალხო სადღესასწაულო/კულტურული ღონისძიებების აღნიშვნას, რომლთა ორგანიზებაც ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის/რეგიონის პოპულარიზაცია/ცნობადობის ამაღლებას, ადგილობრივი არტისტების კულტურული პროდუქტების საზოგადოებისთვის გაცნობას და სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების დაფინანსება: დამოუკიდებლობის დღისადმი (26 მაისი) მიძღვნილი ღონისძიება; ახალი წლის ღონისძიება და სხვა.

- ✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა**

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა.

- ➢ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1500,6 ათასი ლარი, მათ შორის:**

- ✓ **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 191,5 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- ➢ **მმართველობა - 6102,1ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ საკრებულოს დაფინანსება - 1574.4 ათასი ლარი;
  - ✓ მერია - 4437.3 ათასი ლარი;
  - ✓ სარეზერვო ფონდი - 30,0 ათასი ლარი;
  - ✓ მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 60,4 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	**30,614.9**	**19,361.3**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**5,446.3**	**6,102.1**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,319.4	6,011.7
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,284.7	1,574.4
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4,034.6	4,437.3
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	126.9	90.4
01 02 01	სარეზერვო ფონდი	2.5	2.5
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	124.4	60.4

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**14,788.9**	**3,010.0**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,822.8	597.0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	649.7	317.0
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	6,173.1	280.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	782.6	852.0
02 02 01	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	752.4	802.0
02 02 01 01	წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი	146.1	130.0
02 02 01 02	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	606.3	672.0
02 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	30.2	50.0
02 03	გარე განათება	711.1	749.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია	707.1	745.0
02 03 01 01	გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	398.1	420.0
02 03 01 02	გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა	309.0	325.0
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	4.0	4.0
02 04	სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2,174.6	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,281.7	50.0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	765.7	-
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია	110.9	30.0
02 09	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექინკური ზედამხედველობის დაფინანსება	469.0	420.0
02 10	სატრანსპორტო მომსახურება	496.2	312.0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტირება	174.3	-

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1,707.6**	**1,755.6**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,503.8	1,534.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	158.2	171.6
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	40.0	40.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	5.7	10.0

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
04 00	**განათლება**	**2,933.6**	**2,746.0**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	2,125.4	2,319.0
04 03	განათლების ღონისძიებები	71.0	70.0
04 04	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი	321.2	357.0
04 05	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	416.0	-

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**4,183.0**	**4,240.0**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,665.4	1,760.1
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,576.1	1,758.5
05 01 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	604.3	683.0
05 01 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი	351.9	409.0
05 01 01 03	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	218.6	236.0
05 01 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა	301.2	330.5
05 01 01 05	ა(ა)იპ რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ,,ამარანტები"	100.0	100.0
05 01 02	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	89.3	1.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,408.4	2,438.9
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,807.8	1,989.6
05 02 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი	1,253.4	1,392.4
05 02 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	299.3	314.3
05 02 01 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	143.5	158.0
05 02 01 04	ა(ა)იპ მუზეუმის ხელშეწყობა	111.6	124.9
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	111.1	119.6
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	183.6	-
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა		

		50.0	50.0
05 02 05	გაზეთის მომსახურების დაფინანსება	15.0	15.0
05 02 06	ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი	241.0	264.7
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	109.2	41.0

პროგ. კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2025 წლის გეგმა**	**2026 წლის პროექტი**
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1,555.6**	**1,500.6**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	542.3	601.5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	179.0	191.5
06 01 03	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	45.6	50.0
06 01 04	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა	142.0	150.0
06 01 06	ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	65.7	70.0
06 01 07	ქირურგიული ოპერაციების საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა	110.0	140.0
06 02	სოციალური დაცვა	1,013.4	899.1
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	55.0	55.0
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	38.0	48.0
06 02 03	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	1.5	1.5
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება	245.5	256.0
06 02 05	ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება	60.0	40.0
06 02 06	მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება	82.6	85.0
06 02 07	მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	33.0	26.0
06 02 08	უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა	221.2	215.0
06 02 09	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	8.6	8.6
06 02 10	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	20.0	24.0
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება	80.0	85.0
06 02 12	„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საოჯახო მევენახეობა-მეღვინეობის და ძველი რაჭული ვაზის ჯიშების აღდგენა/განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“	112.9	-
06 02 13	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ბანაკში დასვენების მუნიციპალური ქვეპროგრამა	55.0	55.0

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2026-2029 წლები);
2. მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პროგრამული ბიუჯეტის დანართი;
3. ინფორმაცია 2025 წლის 9 თვის შესრულების შესახებ; (ინფორმაცია შედის პრიორიტეტის დოკუმენტში);
4. ინფორმაცია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

5. 2026-2029 წლების კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
6. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
7. 2026 წლის ბიუჯეტის გამარტებითი ბარათი.

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი